EaP | Eastern Partnership

ევროპის “აღმოსავლეთ პარტნიორობის” სკოლის

2018-2019

სასწავლო წლის საშუალო განათლების სასტიპენდიო პროგრამა ახალ სკოლაში New School

იწყება მოსწავლეთა განაცხადების მიღება “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ქვეყნებიდან:
აზერბაიჯანიდან | ბელორუსიდან | მოლდავეთის რესპუბლიკიდან | საქართველოდან სომხეთიდან და უკრაინიდან

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა
2018 წლის 31 მარტი, საქართველოს დროით, დღის 12.00სთ

EaP | Eastern Partnership

New School
International School of Georgia

მოსწავლეები
აზერბაიჯანიდან,
ბელორუსიდან,
მოლდოვის
რესპუბლიკიდან,
საქართველოდან,
სომხეთიდან და
უკრაინიდან

ასაკი
16-17 წელი

30 სტიპენდია

6 ქვეყანა

New School იწყებს განცხადებების მიღებას საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამით სწავლის სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 16 -17 წლის მოსწავლეებს "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, მოლდავეთის რესპუბლიკიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან.

პროგრამა ხორციელდება "ახალ სკოლაში" ევროკავშირის მხარდაჭერით და საერთაშიორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციასთან პარტნიორობით.

http://www.ibo.org/programmes/diploma-programme

სტიპენდიის მიზანია, სრულად დაფაროს New School საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამით სწავლების ორწლიანი კურსის საფასური და მოსწავლეთა საცხოვრებელი ხარჯები. გამიზნულია 30 სტიპენდიის გაცემა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ექვსი ქვეყნის მოსწავლეთათვის. 2018-19 სასწავლო წლის კონკურსში გამარჯვებულ სტიპენდიანტთა სია გამოქვეყნდება 2018 წლის მაისში.

1 რა არის სასტიპენდიო პროგრამის მიზანი?

სასტიპენდიო პროგრამა ხორციელდება ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევით და მისი მიზანია, გააუმჯობესოს "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნების: აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდავეთის რესპუბლიკის, საქართველოს, სომხეთის და უკრაინის მოსწავლეების განათლების ხარისხი.

New School ავტორიზებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მიერ. ამ სკოლაში საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომის მოპოვება გაზრდის მოსწავლეთა შესაძლებლობას, გახდნენ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სტუდენტები.

2 რას წარმოადგენს საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომი, რომელიც აქცენტირებულია ევროპათმცოდნეობაზე?

საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომი, რომელიც აქცენტირებულია ევროპათმცოდნეობაზე, წარმოადგენს მაღალი სტანდარტის მქონე 2 - წლიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აძლევს მოსწავლეებს უნიკალურ საშუალებას, მიიღონ ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა ევროპისა და ევროკავშირის შესახებ.

პროგრამა მოიაზრებს საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ენებსა და ლიტერატურაში, ხელოვნებასა და ისტორიაში ევროპული თვალთახედვის აქცენიტირებას. მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა, თავიანთ ესეებსა და სხვა სასწავლო აქტივობებში ყურადღება გაამახვილონ ევროპულ ღირებულებებზე.

კლასგარეშე აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება ევროპისათვის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციები და ღონისძიებები. სკოლა მოიწვევს მაღალი კვალიფიკაციის ლექტორებსა და მეცნიერებს. მოეწყობა შემეცნებითი ხასიათის ვიზიტები ბრიუსელის ევროპულ ინსტიტუციებში და დაიგეგმება სხვა სახის აქტივობები, რომლებიც გააღრმავებს მოსწავლეთა ცოდნას ევროპისა და ევროპელი ხალხის შესახებ.

3 ვინ ახორციელებს საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის სადიპლომო პროგრამას ევროპათმცოდნეობის განხრით?

New School ახორციელებს საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის სადიპლომო პროგრამის სწავლებას.

New School ავტორიზებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მიერ 2010 წელს. საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია არის საერთაშორისო ფონდი, რომლის მიზანიცაა, ხელი შეუწყოს უკეთესი მსოფლიოს შექმნას განათლების საშუალებით. საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ დამოუკიდებლად და კრიტიკულად აზროვნება და ლოგიკურად კვლევა. საერთაშორისო ბაკალავრიატი ასწავლის მოსწავლეებს, იყვნენ წარმატებულნი სამყაროში, რომელშიც რეალური და წარმოსახვითი ერთმანეთში ირევა ყოველდღიურად და სადაც კრიტიკული შეკითხვის სწორად დასმა უმნიშვნელოვანესი უნარია და მათი შემდგომი წარმატების საწინდარი.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში New School დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში მრავალენოვანი და მულტიკულტურული სწავლების განვითარების საქმეში. მან ხელი შეუწყო როგორც ქართველი, ისე უცხოელი კურსდამთავრებულების წარმატებულ კარიერას. “ახალი სკოლის” სადიპლომო პროგრამით სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. „ახალი სკოლის“ კურსდათავრებულთა 85% -ისთვის მშობლიური ენა არ იყო ინგლისური (მათი მშობლიური ენები იყო: ქართული, რუსული, სპარსული, უკრაინული, კორეული, ჩინური, სერბული, ლიტვური, თურქული და ა.შ.)

ამ ეტაპზე New School მზადაა დაიწყოს ახალი საგანმანათლებლო პროექტი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ახალ მოსწავლეებთან ერთად.

4 ვინ აფინანსებს “ახალ სკოლაში” ევროპათმცოდნეობის განხრით საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის სადიპლომო პროგრამას და რას ფარავს სტიპენდია?

პროგრამას აფინანსებს ევროკავშირი.

გაიცემა 30 სტიპენდია “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ქვეყნების - აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდავეთის რესპუბლიკის, საქართველოს, სომხეთის და უკრაინის იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც უმაღლეს ქულებს მიიღებენ შერჩევით ტესტირებაში.

სტიპენდია დაფარავს სრულ ორწლიან კურსს და საცხოვრებელ ხარჯებს (საჭიროებისამებრ).

სტიპენდია გაიცემა პირველ აკადემიურ წელს და ავტომატურად გაგრძელდება მეორე/უკანასკნელ წელს. სტიპენდიის გაგრძელებას მეორე წელს განაპირობებს მოსწავლის მიერ პირველ სასწავლო წელს წარმატებული აკადემიური მოსწრება. მეორე წელს სტიპენდიის მისაღებად ახალი განაცხადის შეტანა საჭირო აღარ იქნება.

სტიპენდია მოიცავს:

- ✓ New School ევროპათმცოდნეობის განხრით საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის სადიპლომო პროგრამით სწავლების გადასახადის დაფინანსებას 2018-19 სასწავლო წელს.
- ✓ ცხოვრებას თბილისში და კვებას. მოსწავლეები იცხოვრებენ სკოლის საერთო საცხოვრებელში სკოლასთან ახლოს, სადაც “ახალ სკოლაში” მიღებული მაღალი ხარისხის უსაფრთხოების სტანდარტი იქნება დაცული.
- ✓ წელიწადში ორჯერ, არდადაგების პროცესში, მოსწავლის მოგზაურობის დაფინანსება-გამგზავრებას სახლში და უკან დაბრუნებას “ახალ სკოლაში” .
- ✓ “საქართველოს ბანკის” მოსწავლის ბარათს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის უფასო მგზავრობას საზოგადოებრივი ტრანსპორტით თბილისის ფარგლებში.
- ✓ სასწავლო მასალებსა და რესურსებს, რომლებიც მოსწავლეს სჭირდება პროგრამის წარმატებით
- ✓ ასათვისებლად (წიგნები, ლეპტოპი, კალკულატორები და სმარტფონები მისი სკოლაში სწავლის პროცესში) ევროკავშირის მიერ ინიცირებულ სემინარებში, კონფერენციებში, სასწავლო ექსკურსიებსა და სხვა ღონისძიებებებში მონაწილეობას.
- ✓ სამედიცინო დაზღვევას (სტომატოლოგიას და რეპატრიაციას სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში)

სტიპენდია არ მოიცავს:

- ✗ მოსწავლეების ან მათი ოჯახის წევრებისთვის თანხების პირდაპირ ჩარიცხვას.
- ✗ მოსწავლეების ან მოსწავლეების ოჯახების წევრების ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ მოგზაურობის დაფინანსებას.
- ✗ მოსწავლეთა პირად ხარჯებს, მაგ: ტანსაცმლის შეძენას, სკოლისგარეთ კვების ხარჯის დაფარვას,მობილური ტელეფონების ან პერსონალური კომპიუტერების შეძენას (გარდა იმისა, რაც მიეცემა სადიპლომო პროგრამის წარმატებულად ასათვისებლად)

5 ვინ დააკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს?

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობები "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ყველა ქვეყნის წარმომადგენლისათვის, სტიპენდია ეფუძნება აპლიკანტის აკადემიურ მზაობას და გახსნილია ყველასთვის, ვინც ამ პირობას დააკმაყოფილებს.

გაიმარჯვებს ის აპლიკანტი, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას დააკმაყოფილებს:

1. არის აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდავეთის რესპუბლიკის, საქართველოს, სომხეთის ან უკრაინის მოქალაქე და შეუძლია საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტის მოპოვება.
2. განაცხადის შეტანის დროს ცხოვრობს აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდავეთის რესპუბლიკის, საქართველოს, სომხეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე.
3. აკმაყოფილებს კლასის/ასაკობრივ მოთხოვნებს თავის ქვეყანაში, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული:

ქვეყანა	რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ პროგრამაში მონაწილეობის მიღება	რა ასაკის მოსწავლეებს შეუძლიათ პროგრამაში მონაწილეობის მიღება
აზერბაიჯანი	9-10	16-17
ბელორუსი	9-10	16-17
მოლდავეთის რესპუბლიკა	10	16-17
საქართველო	10	16-17
სომხეთი	9-10	16-17
უკრაინა	9-10	16-17

4. განაცხადის შეტანის დროს აპლიკანტი უნდა ცხოვრობდეს და სწავლობდეს ერთ-ერთ ქვეყანაში იმ ექვსიდან, რომლებიც ზემოთაა ჩამოთვლილი.
5. ჰქონდეს, მინიმუმ, 70% GPA საშუალო სკოლაში სწავლისას მიმდინარე და წინა სასწავლო წელს.
6. უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას (დონე B2 ან უფრო მაღალი).
7. ევროკავშირის რომელიმე სხვა ქვეყნის ენის ცოდნა ჩაითვლება **უპირატესობად.**

შენიშვნა: მოსწავლე, რომელმაც უნდა მოიხადოს სამხედრო სამსახური სკოლის ბოლო კლასში, ვერ მიიღებს მონაწილეობას პროგრამაში.

6 შერჩევის და ჩარიცხვის პროცედურა

შერჩევის პროცესში ყველა განაცხადი, რომლებიც აკმაყოფილებს წამოყენებულ პირობებს, განიხილება და შეფასდება ობიექტურად და გამჭვირვალედ. კანდიდატთა შესარჩევი კვალიფიცირებული საერთაშორისო საბჭო მეთვალყურეობას გაუწევს შერჩევის პროცესის ყველა ეტაპს და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმ ფინალისტებზე, რომლებიც შეირჩევიან სტიპენდიის მისაღებად. კანდიდატთა შესარჩევ საბჭოში შევლენ როგორც New School თანამშრომლები, ისე საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მიერ აღიარებული შემფასებლები. კანდიდატთა შესარჩევი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და გასაჩივრებას არ დაექვემდებარება. **კანდიდატთა შერჩევის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:**

- **აპლიკაციების შეტანა** - 2018 წლის 31 მარტამდე
- **წერითი ტესტირება** - 2018 წლის აპრილი
- **ინტერვიუ** - 2018 წლის 1-დან 15 მაისამდე

აპლიკაციების შეტანა

აპლიკაციების შეტანის ბოლო ვადაა **2018 წლის 31 მარტი, საქართველოს დროით, 12.00სთ-ზე.**

აპლიკაციის სრული პაკეტი შეგიძლიათ ნახოთ New School ვებგვერდზე

www.newschoolgeorgia-app.com

კანდიდატებს ვთხოვთ, აპლიკაციის ასატვირთად შექმნან ელექტრონული პირადი გვერდი.

ნებისმიერი აპლიკაცია, რომელიც გამოიგზავნება ზემოთ მითითებული თარიღის შემდეგ ან არ იქნება სრულად შევსებული, არ განიხილება.

ყველა აპლიკანტი, რომლებიც დროულად შეიტანენ განაცხადს ავტომატურ რეჟიმში, მიიღებს შეტყობინებას დოკუმენტების მიღების შესახებ.

კანდიდატთა შესარჩევი საბჭო განიხილავს მხოლოდ იმ განაცხადებებს, რომლებიც 2018 წლის 31 მარტის12.00 სთ-მდე იქნება გაგზავნილი.

კანდიდატთა შესარჩევი საბჭო შეარჩევს კანდიდატებს ტესტირებისა და ინტერვიუსთვის.

2018 წლის აპრილში შერჩეული კანდიდატები მიიღებენ მოწვევას წერითი ტესტირებისა და ინტერვიუსთვის, რომელიც ჩატარდება იმავე ქვეყანაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

წერილობითი ტესტი მათემატიკასა და ინგლისურ ენაში

წერილობითი ტესტი იქნება ორი სახისა: ტესტი მათემატიკასა და ტესტი ინგლისურ ენაში. ტესტირება ჩატარდება ინგლისურ ენაზე.

გამოცდა მათემტიკაში:

მინიმალური ზღვარი წარმოადგენს 35%-ს (ის მოსწავლეები, რომლებსაც ექნებათ უფრო მაღალი შეფასება, შერჩევისას ისარგებლებენ უპირატესობით).

მათემატიკური ტესტი შედგება შემდეგი საკითხებისაგან: რიცხვები და მათზე მოქმედებები, სიმრავლეები და მათზე მოქმედებები, ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია, საკორდინაციო გეომეტრია, ალბათობა და სტატისტიკა (მოთხოვნის შემთხვევაში, პროგრამის შესახებ დეტალები ხელმისაწვდომია).

გამოცდა ინგლისურ ენაში:

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან. კითხვით ნაწილში მოსწავლეებს ევალებათ ტექსტის წაკითხვა და წარმოდგენილ კითხვებზე პასუხის გაცემა, რითაც დაადასტურებენ, თუ რამდენად ესმით წაკითხული ტექსტის შინაარსი.

წერილობით ნაწილში მოსწავლეებს ევალებათ დაწერონ კულტურასთან, ჯანმრთელობასთან, თავისუფალი დროის გატარებასთან, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული, რეალურ ან წარმოსახვით ფაქტებზე დაყრდნობით აგებული 150-250 სიტყვიანი ტექსტი.

ყველა წერილობით ტესტირებაზე ხელმისაწვდომობისა და თანაბარი შესაძლებლობების მიცემის უზრუნველსაყოფად ექვსივე ქვეყანაში მოხდება კანდიდატი პირების დასწრების ადმინისტრირება აღიარებული პარტნიორი ორგანიზაციების მიერ. 2018 წლის აპირილის თვეში ტესტირება ჩატარდება ერთდროულად ექვსივე ქვეყანაში.

კანდიდატებს ეცნობებათ ტესტირების ჩატარების ზუსტი თარიღები და საგამოცდო ცენტრების მისამართები.

გასაუბრება:

წერილობითი ტესტირების დასრულების შემდგომ მოსწავლეებს დაენიშნებათ გასაუბრება, რათა შეფასდეს მათი მზაობა აღნიშნულ კურსზე სწავლის დასაწყებად:

- ახალი სასწავლო გამოცდილებისა და კულტურის მისაღებად მზაობა;
- უცხო ქვეყანაში, სახლიდან მოშორებით, ცხოვრებისთვის მზაობა;
- ახლის გაგების მზაობა და მოტივაცია;
- კანდიდატს შეუძლია აირჩიოს და ისწავლოს მისთვის საინტერესო საგნები;
- საკომუნიკაციო და ზეპირი მეტყველების უნარები ინგლისურ ენაზე;
- სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება და სკოლის შემგდომ აქტივობებში ჩართვა (სპორტი, საგნობრივი კლუბები, შეჯიბრებები და ა.შ)

ინდივიდუალური გასაუბრება New School წარმომადგენელებთან და სხვა შემფასებლებთან მოხდება „Skype“-ის მეშვეობით 2018 წლის 1 მაისიდან 15 მაისამდე.

გასაუბრებისას უპირატესობა მიენიჭება იმ მოსწავლეებს, რომლებიც გამოირჩევიან მოტივაციის მაღალი ხარისხით, არიან გახსნილნი სხვა კულტურების მიმართ და აინტერესებთ ევროპული ფასეულობები.

დამატებითი ინფორმაცია

მიღებულ აპლიკაციებზე დაყრდნობით სტიპენდიების პროგრამა მიზნად ისახავს სამართლიანი გენდერული და გეოგრაფიული ბალანსის უზრუნველყოფას. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან, ბელორუსიიდან, მოლდავეთის რესპუბლიკიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან შეირჩევიან მოსწავლეები (თითოეული ქვეყნიდან 4-6 მოსწავლე).

ევროკავშირზე ფოკუსირებული საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტის მიერ. დამატებით, სადიპლომო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მოიძიონ და მიიღონ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი. კანდიდატებს ასევე შეუძლიათ, სადიპლომო პროგრამის ეკვივალენტური დოკუმენტის მიღება საკუთარ ქვეყანაში.

2018-2019 სასწავლო წლის გამარჯვებული მოსწავლეების სია გამოქვეყნდება 2018 წლის მაისის თვის მეორე ნახევარში.

სააპლიკაციო პროცესის ყველა პროცედურა უფასოა, სამგზავრო ხარჯებს კი, რომლებსაც აპლიკანტი გაიღებს საგამოცდო ცენტრში გამოცხადებისათვის, თავად აპლიკანტი გადაიხდის და არ აუნაზღაურდება.

სააპლიკაციო პროცესებზე სხვა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

euscholarship@newschoolgeorgia.com
ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომრებზე:
+ 995 32 225 70 06
+ 995 599 25 17 17